საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/144 " 29 " ივლისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დ. მამისეიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის №1/137 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 20 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 15 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა ექვსი, მათ შორის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით მამისეიშვილის განაცხადი. დ. მამისეიშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება. მას სხვადასხვა დროს აქვს ქედის რაიონულ, შუახევის რაიონულ, ხელვაჩაურის რაიონულ და ბოლოს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მუშაობის გამოცდილება. დ. მამისეიშვილის სამოსამართლო სტაჟი და გამოცდილება ქნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, დავით მამისეიშვილი გათავისუფლდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე